საზოგადოებრივი ობიექტების სქემა



ექსპლიკაცია და პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- ღია პარკინგი
- სამანქანო გზა და ტროტუარი
- ქვეითთა გადასასვლელი
- ფეხვმავალთა გზა
- გამწვანება
- სანაგვე ურნა

საპროექტო ორგანიზაცია

შპს "გრუპო პასტორ ენჯინერინგ"
საქართველო თბილისი-0162
ახალი ხეივანი №5
I სართული
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

პროექტის სახელწოდება და მისამართი

ქალაქი თბილისი, ჯრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ შპს "ბაზელის" ჯეთვილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა

დამკვეთი
შპს "ბაზელი"
ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ.№10, ბ.1
office@krtsanisi.com

ნახაზის დასახელება

საზოგადოებრივი ობიექტების სქემა

დირექტორი	პედრო ლუის პასტორ პეგერო				
პრ. მთავარი არქიტექტორი	პედრო ლუის პასტორ პეგერო				
თარიღი	მასშტაბი	ფაილი	ფორმატი	ფ-ბი	გვერდი
19/09/2016	1: 2300	Basel GRG	A1	37	29

არსებული გამწვანების სქემა



საპროექტო გამწვანების სქემა



ტოპოგრაფიულ რუკაზე მონიშნულია არსებული ხეები, პროექტის მიხედვით არ იგეგმება ხეების არც მოჭრა და არც გადარგვა.
გრგ-ში არსებული გამწვანებული სივრცეები წარმოდგენილია პარკების სახით, ამავდროულად ემატება გამწვანებული სივრცეები და იგეგმება 400 წიწვოვანი ხის დარგვა საპროექტო გამწვანებულ სივრცეებში.
იქიდან გამომდინარე, რომ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ საქმიან ზონებში არ გვაქვს ჯონარეტული პროექტები შეუძლებელია ამ ეტაპზე განისაზღვროს რომელი ხის მოჭრა გახდება აუცილებელი და რომლის არა.
რაც შეეხება გზებს, აქ არ იჭრება არც ერთი ხე და არსებული გზისპირა ხეები შენარჩუნებულია.



საპროექტო ორგანიზაცია

GRUPO PASTOR

შპს "გრუპო პასტორ ენჯინერინგ"
საქართველო თბილისი-0162
ახალი ხივანი №5
I სართული
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

პროექტის სახელწოდება და მისამართი

ქალაქი თბილისი, ყრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ შპს "ბაზელის" კუთვნილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა

დამკვეთი
შპს "ბაზელი"
ქ. თბილისი, მევჩხენაოს ქ.№10, ბ.1
office@krtsanisi.com

ნახაზის დასახელება

გამწვანების სქემა

დირექტორი	ჯედრო ლუის პასტორ პეგერო				
პრ. მთავარი არქიტექტორი	ჯედრო ლუის პასტორ პეგერო				
თარიღი	მასშტაბი	ფაილი	ფორმატი	ფ-ბი	გვერდი
19/09/2016	1: 2300	Basel GRG	A1	37	30

ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება



ექსპლიკაცია და პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორიის საზღვარი

ძირითადი შენობის განთავსების არეალი

555 მიწის საპროექტო ნიშნული

საპროექტო ორგანიზაცია

შპს "გრუპო პასტორ ენჯინერინგ"
საქართველო თბილისი-0162
ახალი ხივანი №5
I სართული
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

პროექტის სახელწოდება და მისამართი

ქალაქი თბილისი, ჯრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ შპს "ბაზელის" კუთვნილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა

დამკვეთი
შპს "ბაზელი"
ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ.№10, ბ.1
office@krtsanisi.com

ნახაზის დასახელება

ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება

დირექტორი	ჰედრო ლუის პასტორ ჰეგერო				
პრ. მთავარი არქიტექტორი	ჰედრო ლუის პასტორ ჰეგერო				
თარიღი	მასშტაბები	ფაილი	ფორმატი	ფ-ების	გვერდი
19/09/2016	1: 2300	Basel GRG	A1	37	31

ბინათმოწყობის გენერალური გეგმა

საკადასტრო კოორდინატების ცხრილი

წერტილის ნომერი	მდებარეობა	X	Y
1	ბაზისური წერტილი	597793.0	4332392.2
2	ბაზისური წერტილი	597906.0	4332239.2
3	ბაზისური წერტილი	597906.0	4332239.2

ნაკვეთების ექსპლიკაცია

ნაკვეთის ნომერი	ფართობი (მ²)	ნაკვეთის დანიშნულება
1	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
2	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
3	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
4	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
5	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
6	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
7	1200	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი



ექსპლიკაცია და პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთები
- წყალსადენი მილი
- კანალიზაციის მილი
- გაზსადენის მილი
- ელექტროობის ქსელი
- არსებულ წყალსადენის მილთან მიერთების ადგილი
- არსებულ კანალიზაციის მილთან მიერთების ადგილი
- არსებულ გაზსადენის მილთან მიერთების ადგილი
- არსებულ ელექტროობის ქსელტან მიერთების ადგილი

საპროექტო ორგანიზაცია

შპს "გრუპო პასტორ ენჯინერინგ"
საქართველო თბილისი-0162
ახალი ხეივანი №5
I სართული
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

პროექტის სახელწოდება და მისამართი

ქალაქი თბილისი, ყრწყანისის
სამთავრობო რეზიდენციის
მიმდებარედ შპს "ბაზელის" კუთვნილი
მიწის ნაკვეთის განაშენიანების
რეგულირების გეგმა

დამკვეთი
შპს "ბაზელი"

ქ. თბილისი, შევჩენკოს
ქ.№10, ბ.1
office@krtsanisi.com

ნახაზის დასახელება

საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობის სქემა

დირექტორი	კედრო ლუის პასტორ კეგერო					
პრ. მთავარი არქიტექტორი	კედრო ლუის პასტორ კეგერო					
თარიღი	მასშტაბი	ფაილი	ფორმატი	ფ-ები	გვერდი	
19/09/2016	1: 2 200	Basel GRG	A1	37	33	

განხორციელების ეტაპების განვითარების სტრატეგიის სქემა



ექსპლიკაცია და პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- პირველი ეტაპი
- მეორე ეტაპი
- მესამე ეტაპი

საპროექტო ორგანიზაცია

შპს "გრუპო პასტორ ენჯინერინგ"
საქართველო თბილისი-0162
ახალი ხივანი №5
I სართული
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

პროექტის სახელწოდება და მისამართი

ქალაქი თბილისი, ყრწყანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარედ შპს "ბაჯელის" ჯეთვნილი მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა

დამკვეთი
შპს "ბაჯელი"

ქ. თბილისი, შევჩენკოს ქ.№10, ბ.1
office@krtsanisi.com

ნახაზის დასახელება

განხორციელების ეტაპების განვითარების სტრატეგიის სქემა

დირექტორი	ჰედრო ლუის ჰასტორ ჰეგერო				
პრ. მთავარი არქიტექტორი	ჰედრო ლუის ჰასტორ ჰეგერო				
თარიღი	მასშტაბი	ფაილი	ფორმატი	ფ-ების	გვერდი
19/09/2016		Basel GRG	A1	37	34

ЗАСТРОЙКА ЗА ЛЕКАРСКИ ПРЕГЛЕДИ
ПОЛИКЛИНИКА













ПЛАН ЕТАЖ 1	1:100	19/09/2016		
ПЛАН ЕТАЖ 2	1:100	Basel GRG	A1	37
ПЛАН ЕТАЖ 3	1:100			
ПЛАН ПОКРИВ	1:100			
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ, м.	ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПЛАН, м.			
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПЛАН, м.				

ПРОЕКТАНТ:
ПЛАМЕН ПЕТКОВ
office@krtsanist.com
ул. „Васил Левски" №5
1 ЕТАЖ
+995 591 40 62 41
www.grupopastor.net
info@grupopastor.net

ОТГОВАРЯЩ ЗА ПРОЕКТИРАНЕТО:
ЛЮБОМИР ЙОРДАНОВ ЙОРДАНОВ
ИНЖЕНЕР ПО ВИК
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПЛАН 0162 м2
ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПЛАН, м. ЗАСТРОЕНА ПЛОЩ ПО ПЛАН, м.













ЗЕ ЛЫФРГЖЭЕ
ЭПЬГГЭМПЧГГЬЭПЬ
ЬЭПЬГЬЫЖЭЬЭЬЭПЬ

ЭЧЫЖЭЫЖЛ	ЭЫЖЭЫЖЛ ЭЧЫЖЭЫЖЛ ЭЫЖЭЫЖЛ			
ЭЖ. ЭПЫЖЭЭПЭЫЖЛ ЭЖЫЖЭЫЖЛЭ	ЭЫЖЭЫЖЛ ЭЧЫЖЭЫЖЛ ЭЫЖЭЫЖЛ			
ЭЧЫЖЭЫЖЛ	ЭЫЖЭЫЖЛ	ЭЧЫЖЭ	ЭЖЫЖЭЫЖЛ	ЭЭ-ЭЛЛ
19/09/2016		Basel GRG	A1	37	

ЭЫЖЭЫЖЛЭ ЭЧЫЖЭЫЖЛ ЭЫЖЭЫЖЛ ЭЧЫЖЭЫЖЛЭ











ՀԱՄԱՐԱՏԻՊ ԱՐՁԱՆԱԳՐՈՒԹՅԱՆ ՀԱՎԱՔԱԳԻՐ

ՀԱՄԱՐԱՏԻՊԻ ՀԱՄԱՐ	ԱՆՎԱՆՈՒՄ	ՁԵՎԱՉԱՓ	ՇԱՐՔ	ԱՄՍԱԹԻՎ
ՀՀ, ՄԱՐԶԱՅԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԱԿԱՆ ՀԱՄԱՅՆՔՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ				
ՄՈՒՏՔԻ ՀԱՄԱՐ	ԱՆՎԱՆՈՒՄ	ՁԵՎԱՉԱՓ	ՇԱՐՔ	ԱՄՍԱԹԻՎ
19/09/2016		Basel GRG	A1	37		

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՏԱՐԱԾՔԱՅԻՆ ԿԱՌԱՎԱՐՄԱՆ ԵՎ ՔԱՂԱՔԱՇԻՆՈՒԹՅԱՆ ՊԵՏԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵ

ՀՀ, ՄԱՐԶԱՅԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԱԿԱՆ ՀԱՄԱՅՆՔՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ ՀԱՍՏԱՏՎԱԾ ՀԱՏԱԿԱՑՎԱԾ ԱՇԽԱՏԱՆՔԱՅԻՆ ԽՄԲԻ ԱՆԴԱՄ

ՀՀ, ՄԱՐԶԱՅԻՆ ԿԵՆՏՐՈՆԱԿԱՆ ՀԱՄԱՅՆՔՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ ՀԱՍՏԱՏՎԱԾ ՀԱՏԱԿԱՑՎԱԾ ԱՇԽԱՏԱՆՔԱՅԻՆ ԽՄԲԻ ԱՆԴԱՄ

Krtsanisi Residence

ნაკვეთების კოდების განმარტების ფურცელი

თითოეული ნაკვეთის კოდი შედგება ოთხი გრაფისაგან და პროექტის გენერალურ გეგმაში ყველა მათგანს გააჩნია თავისი მნიშვნელობა. მაგალითად:

I	II	III	IV
PU	SA	P1	01
მიწის ნაკვეთის №	გენგეგმაში	სექტორში	ნაკვეთის
ტიპი სექტორში	არსებული	არსებული	
	სექტორი	პოლიგონი	ნაკვეთის ტიპის მიხედვით
არსებობს სხვადასხვა ტიპის მიწის ნაკვეთები მათი ზომებისა და დანიშნულების მიხედვით	გენგეგმა დაყოფილია სექტორების მიხედვით და ამ გრაფაში მითითებულია თუ სად მდებარეობს კონკრეტული მიწის ნაკვეთი.	ყველა სექტორში არსებობს რამდენიმე პოლიგონი, რაც წარმოადგენს ქუჩებით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთების ფართობს.	

PASTOR

Krtsanisi Residence

კრწანისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმა

სარჩევი:

თავი 1. წინაისტორია

1.1. შესავალი

1.2. დეველოპერი

1.3. პროექტზე მომუშავე გუნდი

თავი 2. სექტორიზაცია

2.1. სექტორიზაციის ანალიზი

2.2. მოქმედების არეალი

თავი 3. ურბანისტული ინფორმაცია

3.1. საკუთრების სტრუქტურა

3.2. ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები

3.3. არსებული ინფრასტრუქტურები

თავი 4. დაბებმარების მიზნები და წინადადებები

4.1. მიზნები

4.2. სხვადასხვა სტრატეგიების სპეციფიკური განვითარება

GRUPO PASTOR

Krtsanisi Residence

შ.პ.ს "ბაზელი" (თბილისი, საქართველო)

გენერალური გეგმა სექტორების მიხედვით

თავი 1. წინაისტორია

1.1. შესავალი

დეველოპერი შპს " ბაზელი" არის კრწანისის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრე. მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდებია::

01.18.06.014.037/01.18.06.014.039/01.18.06.014.040/01.18.06.014.060/01.18.06.014.063
01.18.06.014.066/01.18.06.014.077/01.18.06.014.078/01.18.06.014.079/01.18.06.014.082
01.18.06.014.086/01.18.06.014.087/01.18.06.014.088/01.18.06.014.089/01.18.06.014.091
01.18.06.014.092/01.18.06.014.093/01.18.06.014.094/01.18.06.014.095/01.18.06.014.096
01.18.06.014.097/01.18.06.014.098 /01.18.06.013.013 /01.18.06.013.017

დეველოპერის მიზანია ააშენოს " დახურული ზონა" საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, სპორტული, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო და სარეკრეაციო ზონები, რომელიც დაცული იქნება 24 საათიანი დაცვის სამსახურითა და შესასვლელში კონტროლის გავლით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მრავალფუნქციური კომპლექსი ქალაქის ნაწილი უნდა გახდეს, ძირითადი პრინციპი მაინც არის ის, რომ ეს ადგილი იქნება მთლიანად დაცული ტერიტორია, სადაც შესვლის უფლება ექნებათ ექსკლუზიურად შიდა ნაკვეთების, ან "დახურული ზონის" მფლობელებსა და წევრებს. პროექტის შიგნით არსებული გზები, ან თავისუფალი ტერიტორია არავითარ შემთხვევაში არ გახდება საზოგადოებრივი სარგებლობის საგანი.

GRUPO PASTOR

1.2. დეველოპერი

ამ პროექტის განვითარების ინიციატივა ეკუთვნის კომპანია შ.პ.ს. "ბაზელს", რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, შევჩენკოს ქ.N10,ბ1:საიდენტიფიკაციო კოდი: 204469707.

ამ კომპანიის მიზნები ორიენტირებულია ურბანულ განვითარებაზე მაღალი კლასის დიზაინის სტანდარტებითა და სივრცეებით, რათა შექმნას უმაღლესი ხარისხის საცხოვრებელი პირობები მისი მომავალი მოსახლეებისათვის, რაც დაფუძნებული იქნება მდგრადობის პარამეტრებზე, ურბანიზაციის ხარისხზე, პროექტის არსებულ გარემოსთან ინტეგრაციაზე, განახლებადი ენერგიებისა და ბუნებრივი რესურსების ხელახალ გამოყენებაზე.

1.3. პროექტზე მომუშავე გუნდი

წინამდებარე დოკუმენტის შედგენაში, ისევე როგორც ყველა წინა სამუშაოს შესრულებაში, რომელიც დეველოპერმა საჭიროდ მიიჩნია, რომ გაეკეთებინა შესაბამისი ანალიზი და შეფასება ტერიტორიისთვის ყველაზე ადეკვატური დაგეგმარების შესათავაზებლად, მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა მულტიდისციპლინარულმა გუნდმა, რომელთა კომპეტენცია მოიცავდა მაქსიმალურ სპექტრს ტერიტორიის დაგეგმარების, გარემოს დაცვის და ურბანიზმის სფეროში. ამ გუნდებს კოორდინაციას უწევდა ბ-ნი

პედრო ლუის პასტორ პეგერო, რომელმაც “გრუპო პასტორ ინჯინეერინგთან” ერთად სამოქალაქო და ინფრასტრუქტურის

ინჟინერიის საკონსულტაციო ჯგუფების დახმარებით შეიმუშავა ამ პროექტის კონცეფცია და ძირითადი დიზაინი.

თავი 2. სექტორიზაცია

2.1. სექტორიზაციის ანალიზი

ურბანული დაგეგმარების გენერალური გეგმა განსაზღვრავს მუნიციპალურ საზღვრებში მდებარე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც მოქმედების არეალი რეგისტრირებულია როგორც განაშენიანებისთვის განკუთვნილი ტერიტორია. ეს მიწის ნაკვეთები დაყოფილია

2.2. მოქმედების არეალი

შემოთავაზებული ურბანული დაგეგმარების გენერალურ გეგმაში აღწერილი სექტორები მდებარეობს კრწანისში, ქ.ბილისში ქალაქის დასახლებული ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და ესაზღვრება დედაქალაქის ისტორიულ ცენტრს. სექტორების პროექტზე აღნიშნული გზები კვეთს რამდენიმე გზას რომლებიც შეესაბამება ამჟამად არსებული ბუნებრივი გზების განლაგებას და ასევე ახალ გზებს, რომლებიც სექტორების ტერიტორიებს იქითაც გრძელდება.

სხვადასხვა სექტორების საზღვრები შეესაბამება მიწის ნაკვეთების ბუნებრივ ფორმებს და ზოგად სისტემას, რომელიც გარს აკრავს განაშენიანების ტერიტორიას.

შემოთავაზებული სექტორების არეალის შიგნით სიტუაციურ ნახაზზე არ არსებობს რაიმე ისეთი ელემენტი, რომელიც ითვლება რაიმე ტიპის დაცულ ტერიტორიად, შესაბამისად, არ შეიძლება ეს სექტორები იქცეს გათვალისწინებულ ურბანულ განვითარებაში სხვა, რაიმე სახის მოქმედების ობიექტად.

სამუშაოების დაწყებამდე და მას შემდეგ, რაც განხორციელდა ტერიტორიის ტოპოგრაფიული შესწავლა, დადასტურდა, რომ ამ პრივატიზირებულ მიწის ნაკვეთზე არ არსებობს სხვა რაიმე საკუთრება, ან სახელმწიფო გზა.

გენერალური გეგმის ნახაზებში მითითებული საზღვრების დაზუსტებისას, რომელიც შესრულდა უშუალოდ მიწის ნაკვეთზე და ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დაცვის შედეგად, ისევე, როგორც განხორციელებული ტოპოგრაფიული შესწავლიდან გამომდინარე, მოქმედების მთლიანი არეალი, რომელიც შედგება საცხოვრებელი დანიშნულების მიწის ნაკვეთების სექტორებისგან, სპორტული ზონის სექტორებისგან, სკოლებისთვის განკუთვნილი ზონის სექტორებისგან, სასტუმროებისთვის განკუთვნილი ზონის სექტორებისგან და "დახურული ზონა-ის,სათვის განკუთვნილი სექტორისგან, მოიცავს მთლიანობაში 857მ^2, რომელშიც შესულია თითოეული სექტორისთვის განსაზღვრული ზოგადი სისტემებიც (საერთო სარგებლობის ზონები და ინფრასტრუქტურა).

ურბნული დაგეგმარების ზოგადი გეგმა საშუალებას იძლევა , (რაც გულისხმობს წყლის ინფრასტრუქტურას) გადანაწილდეს მარეგულირებელი დეპოზიტები სექტორებს შორის, შესაძლებელია საჭირო გახდეს სამივე სექტორის წყალსადენისა და სარწყავი სისტემის მგვარება კომბინირებული

ფორმით , რათა უფრო იაფი დაჯდეს სიტემის ანერგვისა და შემდგომ ექსპლოატაცია.

ვინაიდან საკითხი ეხება ერთმანეთს შორის დაკავშირებულ სექტორებს, ერთობლივი მოწყობა საშუალებას იძლევა არსებობდეს სუპრა სექტორული რანგი, რომელიც სამივე სექტორს განლაგებას და დიზაინს უფრო ამბიციურს ხდის. ამას გარდა ვცდილობთ გავაუმჯობესო ქ. თბილისში უკვე არსებული ურბანული დაგეგმარება.

მივიჩნევთ რომ მისთვის საჭირო ინფრასტრუქტურაში განვითარებაში, როგორიცაა : პირველადი მომარაგების ქსელები და წყალსადენები, ასევე სხვა ძირითადი ურბანული მოსსახურეობების სუმინისტრებთან დაკავშირება, საჭიროა წარდგენილ იქნას ერთობლლივი გეგმა, რომელშიც გასაგები იქნება ერთმანეთსშორის დაკავშირება სხვადასხვა გსააკითხებისა, როგორებიცაა განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც გარანტია სწორი განვითარბისა, არა მრტო კონკრეტული ტერიტორიისა არამედ მთლიან მოქმედების არეალზე.

თავი 3. ურბანისტული ინფორმაცია

3.1. საკუთრების სტრუქტურა

3.1.1. საკუთრების ანალიზი

“დახურული ზონის“ პროექტის სექტორების მთლიანი ტერიტორია განთავსებულია რადენიმე მიწის ნაკვეთზე და დეველოპერის მიზანია პროექტიდან გამომდინარე სხვადასხვა დანიშნულების შესაბამისად დაყოს ეს ერთი მიწის ნაკვეთი სხვადასხვა ნაკვეთებად.,რათა ასენდეს საცხოვრებლი სახლები, სასტუმროები, ოფისები.

ამჟამად არსებობს საშუალო ძაბვის ელექტრო-ენერგიის მოწყობილობა. აგრეთვე არის რეზიდენციული სახის ნაგებობები განვითარებად გარემში.

3.2. ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები

3.2.1. ტოპოგრაფიული დახასიათება

ზოგადად, შესწავლილი ტერიტორიის რელიეფი მსუბუქი, სიმაღლე ზღვის დონიდან 652.89 მეტრზე ხოლო ტერიტორიის ყველაზე დაბალი წერტილი - ზღვის დონიდან 471 მ მდებარეობს ს. ზემო თელეთთან საზღვარზე.

ტერიტორიის უკიდურეს წერტილებს შორის მანძილი, ტოპოგრაფიული ენით რომ ვილაპარაკოთ, არის 1299,35 მ.

ქვევით მოცემულია ყველა იმ სექტორის რელიეფის დონის მრუდეების ("იზოგიფსების") ნახაზები, რომელზეც ძალიან კარგად ჩანს ბუნებრივი მიწის ტოპოგრაფია, ისევე, როგორც სექტორებში არსებული ფერდობების გრადიენტები.

მიწის ნაკვეთის სიმაღლე მატულობს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, ნაზად, საშუალო დაქანების ფერდობებით; მართალია არსებობს მთელი რიგი კონკრეტული წერტილებისა, სადაც ეს ფერდობები აღემატება 50%-ს, მაგრამ განაშენიანების არეალში ამაზე მაღალი ფერდობები არ არსებობს.

ტოპოგრაფიულ რუკაზე მონიშნულია არსებული ხეები, პროექტის მიხედვით არ იგეგმება ხეების არც მოჭრა და არ გადარგვა. გრგ-ში არსებული გამწვანებული სივრცეები წარმოდგენილია პარკინგების სახით,ამავდროულად ემატება გამწვანებული სივრცეები

3.2.2. გეოლოგიისა და გეოტექნიკის დახასიათება

3.2.2.1. სტრატიგრაფია და ლითოლოგია

ზოგადად, წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ ფუნდამენტად მასალების გამოყენების პირობები მისაღებია, ვინაიდან ამ მასალების დასაშვები წნევა აღემატება 1,5-2,5 კგ/სმ^2.

3.2.3. კლიმატი ზონაში და მისი შემოგარენი

მთას, რომელზეც ჩვენ ვიმყოფებით, გააჩნია მცირე კონტრასტები სექტორებს შორის, მხოლოდ აღსანიშნავი იქნება წელიწადის განმავლობაში ნაწილობრივი განსხვავება ქარის მხრივ ტერიტორიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის.

რაც შეეხება ტემპერატურას, ზეგანის ზედა ნაწილში ჰავა არის ტიპიური კონტინენტური, სადაც ტემპერატურის ცვლილება დაფიქსირებულია 25º-მდე ყველაზე ცხელ და ყველაზე ცივ თვეებს შორის. საშუალო წლიური ტემპერატურაა 15 º და 18 º მთის შიდა ნაწილში, ხოლო მიწის გარშემო ტერიტორიაზე -12 º-15 º. ზამთარი აქ ძალიან ხანმოკლეა და არც თუ ისე ცივი (გრძელდება ნოემბრიდან აპრილამდე) და ყველაზე დაბალი ტემპერატურა ფიქსირდება სულ რამდენიმე გრადუსით ნულს ქვემოთ.

ზაფხული არ არის ზედმეტად ცხელი და ტემპერატურის მაქსიმუმი არ აჭარბებს 30º ან 35º.

ნისლი არც თუ ისე ხშირია და წელიწადში საშუალოდ 15-30 დღე თუ იქნება ნისლიანი.

რაც შეეხება ქარს, თბილისის ტერიტორიაზე ყველაზე ხშირია დასავლეთი - სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებები.

კლიმატური ცვალებადობა, როგორც იზოლირებულად, ისე მთელ სივრცეზე, მეტყველებს კლიმატის ისეთ სახეობაზე როგორიცაა

კონტინენტურსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰავებს შორის, ხანმოკლე ზამთრითა და ზაფხულის გამორჩეული ხანგრძლივობით.

კონკრეტულად თბილისში ზამთარი შედარებით მკაცრია მხოლოდ დეკემბერ-თებერვლის შუალედში. ზამთარი გრძელდება ოთხ თვეზე ცოტა მეტ ხანს, ვინაიდან შემოდგომის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისს უფრო მეტად წელიწადის ამ დროის მახასიათებლები გააჩნია.

რაც შეეხება ნალექებს, რომელიც არც თუ ისე იშვიათია, ზამთარი თბილისში შედარებით წვიმიანია, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს წვიმები რეგულარული ხასიათისაა. ზამთრის ხუთი თვის განმავლობაში წელიწადში არსებული ნალექების ნახევარზე მეტი მოდის, თუმცა უნდა აღინიშნოს წელიწადის დანარჩენ დროს ნალექების არარეგულარული ხასიათიც.

ზაფხული აქ ზომიერად ცხელია. თბილისში ზაფხული სულ რაღაც ოთხი თვე გრძელდება (ივნისიდან სექტემბრამდე). წელიწადის ამ დროის ერთ-ერთი მახასიათებელია მცირე თერმული ცვალებადობა, რის გამოც შესაძლებელი ხდება საშუალო ტემპერატურის შენარჩუნება. და ბოლოს, გაზაფხული და შემოდგომა ხანმოკლე და არარეგულარულია. შემოდგომა ყველაზე მოკლეა და შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხოლოდ ოქტომბრის თვეში გრძელდება. ამ პერიოდში აღინიშნება ტემპერატურის კლება და ნალექების მომატება. ზაფხულის შუა თვეებში (ივლისი-აგვისტო) ტემპერატურის მაქსიმუმი ყველაზე მაღალ ნიშნულს აღწევს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ზამთარი, გაზაფხული და ზაფხულიც კი, შედარებით უხვნალექიანია.

თბილისში წლის განმავლობაში საკმაოდ ბევრია მზიანი საათი, რაც, თავის მხრივ, გამომდინარეობს მზიანი დღეების რაოდენობიდან, რაც საკმარისი იქნებოდა განახლებადი ენერგიების საინსტალაციოდ, როგორიცაა, მაგალითად, მზის თერმული სისტემა.

3.2.4. ჰიდროლოგიის დახასიათება

წინამდებარე პუნქტის მიზანია მოგაწოდოთ პირველი ინფორმაცია წყლის დინებების შესახებ, რომელიც ამჟამად, პრაქტიკულად არ არსებობს.

იმ არეალში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით მხოლოდ და მხოლოდ არსებობს რამდენიმე ნაკადული, რომელიც გროვდება ზედაპირული სადინარებისაგან.

შემოთავაზებული დაგეგმარების დიზაინის შექმნისას მხედველობაში იქნა მიღებული ეს მონაცემები:

სტრუქტურულ საზომებზე მეტად უპირატესობა მივანიჭეთ არასტრუქტურულ საზომებს. სტრუქტურული საზომების დასანერგად საჭიროა, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეიცვალოს მიწის მორფოლოგიური პირობები და რაც შეიძლება მცირე ზემოქმედება მოხდეს გრძედისა და განედის წყვეტილობაზე.

იმ ინფრასტრუქტურის პროექტში, რომელიც ძალიან მცირედ შეუქმნის დაბრკოლებას სადინარების დინამიკას, გათვალისწინებულია, რომ არ მოხდეს კალაპოტების გვერდებზე გადასვლის შეზღუდვა.

3.2.5. მიწის დანიშნულება

ამჟამად ყველა სექტორის არეალში ძირითადად მიწას იყენებენ რეზიდენციულ და საელჩოების ზონად.

3.3. არსებული ინფრასტრუქტურა

3.3.1. საგზაო ქსელი

საკუთრების ტერიტორიაზე არსებულ საგზაო ქსელში შემავალი გზები ძალიან კარგ მდგომარეობაშია, ხოლო მათი ნაწილი მდებარეობს იმ სექტორებში, რომლებიც უნდა განვითარდეს პროექტის მიხედვით.

სექტორებს შორის დაკავშირება მოხდება ამჟამად არსებული გზების გაგრძელების საშუალებით.

3.3.2. წყალმომარაგება

მუნიციპალიტეტში არსებობს ქალაქის ქსელთან დამაკავშირებელი წერტილი, კონკრეტულად კი წყლის ავზი, რომელიც ამარაგებს კრწანისის ზონას, თუმცა დღეს-დღეობით თბილისისათვის არ წარმოადგენს პრობლემას ამ საკითხის მოწესრიგება. აქედან გამომდინარე, იგეგმება ახალი დამკავშირებელი წერტილის შექმნა ქალაქის ცენტრან, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნეს წყლის კომპანია "Georgian Water Power"-თან, რომელიც ხელს შეუწყობს საერო დეპოზიტიდან დამაკავშირებელი ქსელით მიეწოდოს წყალი

""დახურული ზონის"-ის ყველა სექტორს.

3.3.4. ელექტროენერგია

მოქმედების არეალში განთავსებულია 13.2 კვ ქსელი. მომწოდებელი კომპანიის მიერ აღნიშნული მიერთების წერტილიდან გაყვანილი იქნება კვების ხაზი, რომელიც ელექტროენერგიას მიაწვდის პროექტის ტერიტორიაზე არსებულ ტრანსფორმატორებს.

აღნიშნული საშუალო ძაბვის ქსელი პროექტის განხორციელების დროს ჩაიდება მიწაში და ეს მიწისქვეშა ხაზები გაივლის საზოგადოებრივი დანიშნულების ტერიტორიებზე, რაც არანაირად ხელს არ შეუშლის პროექტის მსვლელობას. ხაზების მიწაში ჩადება განხორციელდება მომწოდებელი კომპანიის, "თელასის" მითითებების შესაბამისად.

3.3.5. ბუნებრივი გაზი

ოფიციალური ნებართვა ბუნებრივი გაზის განაწილებაზე თბილისის ტერიტორიაზე გაიცემა გაზის რეგიონალური გამანაწილებელი კომპანიისაგან. ამ კომპანიის (შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზი") ტექნიკურ პერსონალთან შეხვედრების შემდეგ მივიღეთ პასუხი რა გზით უნდა მიუერთდეს ეს სექტორი გამანაწილებელ ქსელს. ამჟამად ველოდებით ამ

საკითხის დეტალურ შესწავლას მათი მხრიდან ურბანიზაციის პროექტის შედგენის პერიოდში.

თავი 4. დაგეგმარების მიზნები და წინადადებები

4.1. მიზნები

პირველი და მთავარი: ""დახურული ზონის" მშენებლობა მდიდრულ დასახლებაში. ურბანიზაციის მთელი პერიმეტრი დაცულია 24 საათიანი დაცვის სამსახურის მიერ. ტერიტორიაზე მოხვედრა ხდება შესასვლელში კონტროლის გავლით და თუმცა დეველოპერის მიზანია, რომ ეს საცხოვრებელი და სპორტული ზონა დედაქალაქის დაგეგმარების ნაწილი გახდეს, ძირითად პრინციპად მაინც რჩება ის იდეა, რომ ეს ადგილი იყოს მთლიანად დაცული ტერიტორია, სადაც შესვლის უფლება ექნებათ ექსკლუზიურად შიდა ნაკვეთების ან გოლფის კლუბის მფლობელებსა და წევრებს. არავითარ შემთხვევაში არ გახდება პროექტის შიგნით არსებული

გზები ან თავისუფალი ტერიტორია საზოგადოებრივი სარგებლობის საგანი.

ჩვენი მიზანია შეიქმნას ისეთი ტიპის ურბანიზაცია, სადაც იქ მაცხოვრებელი ოჯახები თავსაც და თავიანთ საკუთრებასაც იგრძნობენ აბსოლუტურად დაცულად. ასევე, ჩვენი მიზანია:

- შევასრულოთ სამართლებრივი მოთხოვნა - განაშენიანების პროექტის დოკუმენტის, ანუ გენერალური გეგმის შედგენა მისი დამტკიცების მიზნით, რათა დადგინდეს სექტორებს შიგნით დაგეგმარების განსაზღვრებები და ნორმები.
- შენობა-ნაგებობები განაწილდეს უპირატესად მაღალი კლასის და დაბალი სიმჭიდროვის საცხოვრებელი სექტორის მოსახლეების მოლოდინის შესაბამისად და აგრეთვე, მაქსიმალურად იქნეს დაცული ამ ადგილის ბუნებრივი ღირებულებები. ხელი შეეწყობა დაბალი სიმჭიდროვის დასახლების შექმნას და ასაშენებელი სახლების სხვადასხვა დიზაინის გამოყენებას, თუმცაღა ეს დიზაინები ერთმანეთს უნდა ესადაგებოდეს რაიმე ნიშნით.
- შესაძლებელია, რომ საცხოვრებელი დანიშნულებისათვის გამოყენებული იყოს აგრეთვე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, ე.წ. “ახალგაზრდული ბინები”.
- გაგრძელდეს დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარე საცხოვრებელი ზონა თანმიმდევრული გადასვლის მეშვეობით და შეუერთდეს აღნიშნულ პროექტს.
- ტერიტორიაზე შეიქმნას საცხოვრებელი დანიშნულების ახალი ტიპის შენობები. ამ ტერიტორიაზე დამონტაჟებული და ორგანიზებული იქნება ტექნიკური აღჭურვილობები, უზრუნველყოფილი იქნება ყველანაირი სერვისით, იქნება თავისუფალი სივრცეები, ხოლო შიდა გადაადგილებები რაციონალურად და ოპტიმალურად იქნება გათვლილი.
- მოეწყოს ფეხით მოსიარულეთა და საველოსიპედო გზები.
- ხელი შეეწყოს ენერგიისა და ბუნებრივი რესურსების დაზოგვას სარწყავი წყლის ხელახალი გამოყენების გზით.

- პროექტის ურბანული ნაწილის ინტეგრაცია ქალაქის ამჟამინდელ ცენტრთან წარმოდგენილი გენგეგმისა და მასზე დართული გეგმების შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად დაგეგმარება უნდა შესრულდეს შემდეგი **კრიტერიუმების** დაცვით:

- დაგეგმილია ახალი მისასვლელის გაკეთება კრწანისის რაიონიდან, სადაც გაკეთდება როტონდა, რომელიც თბილისიდან მომავალი ავტომობილების სიჩქარის შესამცირებლადაც გამოდგება. ამასთან, თბილისის ამჟამინდელი ურბანული ცენტრიდან პირდაპირი მისასვლელი კეთდება ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გზიდან.
- სექტორში არსებული გზების სქემა ეფუძნება უწყვეტი მოძრაობის შექმნის იდეას, რომელსაც გააჩნია წრისებრი ფუნქცია, რაც თავის

  მხრივ აადვილებს თავისუფალ მიმოსვლას სექტორის სხვადასხვა ნაკვეთებსა და ადგილებს შორის.

- დაცული უნდა იყოს გენგემაში მითითებული საერთო სარგებლობის თავისუფალი სივრცეების ადგილობრივი სისტემის ზონების განაწილება, ისევე, როგორც შიდა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული სერვისისთვის განკუთვნილი ობიექტების ადგილ-მდებარეობა.
- დაპროექტებული ურბანული სტრუქტურის შერწყმა გარემოსთან უნდა მოხდეს დაგეგმარების ხაზებისა და ტერიტორიის არსებული ტოპოგრაფიის თანხვედრით, ისე, რომ მინიმუმამდე დავიდეს მიწის

მოჭრის საჭიროება და გარემოს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს.

- წყლის მიწოდების მდგრადობა წვიმის წყლის ხელახალი გამოყენებით ქუჩების დასუფთავების სამუშაოების ჩასატარებლად, სარწყავი სისტემისათვის, ასევე, წყალმომარაგების (სასმელი და სარწყავი) და საკანალიზაციო წყლების (ფეკალური და წვიმის) განმაცალკევებელი სისტემის დამონტაჟების საფუძველზე.
- სექტორის ცენტრალურ ნაწილში ტექნიკური აღჭურვილობებისა და სრული სერვისის ობიექტების ზონების შექმნა ისეთი ფორმით, რომ ეს ზონები ადეკვატურად შეერწყას სექტორის უპირატესად საცხოვრებელ ფუნქციას და განთავსებული იყოს პერიმეტრზე მდებარე კერძო ზონებისთვის ცენტრალურ ნაწილში.
- მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმარების მახასიათებლების მიხედვით, პროექტში უმეტესწილად ინდივიდუალური ტიპის სახლებია, აგრეთვე გამოყოფილი იქნება მიწის ნაკვეთები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროს დანიშნულებისთვისაც. ასეთი ფორმით შეიქმნება შერწყმული და მდგრადი ურბანული განვითარება, სადაც გაჩნდება სხვადასხვა ტიპის ბინების მომხმარებლებისაგან შემდგარი სოციალური ნარევი.
- ზემოთ აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად წინამდებარე გენერალურ გეგმაში დასახულია ხუთი დიდი სტრატეგია:

საზოგადოებრივი სივრცეების იერარქიისა და მათთან დამოკიდებულების სტრატეგია

ტერიტორიის განვითარება მთლიანად დაკავშირებულია გოლფის კლუბის შიდა საზოგადოებრივ სივრცესთან, სადაც გოლფის კლუბი წარმოადგენს ურბანული ცხოვრების განმსაზღვრელ ელემენტს. იგეგმება სივრცითი სტრუქტურა საცხოვრებელი ცენტრებით, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია მათი გამაერთიანებელი მწვანე ზონებით.

გამწვანებისა და ბიომრავალფეროვნების სტრატეგია

ტერიტორიის პეიზაჟი მთლიანად უნდა იყოს შერწყმული ურბანულ განვითარებასთან.

გარემოსთან ინტეგრაციის სტრატეგია

- დაპროექტებული ურბანული სტრუქტურა გარემოსთან ინტეგრირებულია დაგეგმარების ხაზებისა და ტერიტორიის არსებული ტოპოგრაფიის შესაბამისობითა და თანხვედრით, ისე, რომ მინიმუმამდეა დასული მიწის მოჭრის საჭიროება და გარემოსთვის ზიანის მიყენება, ვინაიდან თავად ის ტერიტორია, სადაც პროექტი ხორციელდება, იშვიათი სილამაზითაა გამორჩეული.
  შიდა საზოგადოებრივი სივრცეების ქსელი ისეა გათვლილი, რომ ამ განაშენიანების მაცხოვრებლებმა ან სტუმრებმა საერთო სარგებლობის ადგილები შესაბამისი, ადეკვატური დანიშნულებით გამოიყენონ.

გენერალურ გეგმაში წარმოდგენილია ფეხითმოსიარულეთა და ველოსიპედისტთა მარშრუტები, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება. ყველა იმ ურბანული განვითარების პროექტში, რომელსაც არ უნდა, რომ "საძინებელ" ქალაქად გადაიქცეს, სადაც, როგორც წესი, მაცხოვრებლები დღისით დიდ ქალაქში მიდიან სამუშაოდ და საღამოს ბრუნდებიან, ფუნდამენტური საკითხია მესაკუთრეების ინტერესებზე მიმართული კომპლექსური სერვისი, რომელიც დაპროექტებულ საცხოვრებელ ზონას ყოველდღიურ და საინტერესო სიცოცხლეს მისცემს.

არავითარ შემთხვევაში არ განიხილება გეტოების ან ქალაქისგან მოწყვეტილი დასახლების შექმნა. ამ სახლების მდებარეობა ისეა

დაგეგმილი, რომ მიუხედავად ერთი მთლიანი შერწყმული კომპლექსისა, მისი მოსახლეების პირადი ცხოვრების უფლება მაქსიმალურად დაცულია, რაც, თავის მხრივ, უმაღლესი დონის ექსკლუზიურ გარემოს უდებს სათავეს.

ზოგადად რომ ვილაპარაკოთ, კონტროლი წესდება ნაკვეთებზე ასაშენებელი შენობა-ნაგებობების სახეობებზე, რაც განხორციელდება მშენებლობის შიდა ნორმატივების საფუძველზე. ამ ფორმით შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ისეთი ელემენტების გამოჩენა, რომელიც უკონტროლო სიტუაციის მაჩვენებელი იქნება.

საცხოვრებელი ზონის მიწის ნაკვეთების გალავნები აშენდება ისეთი ფორმით, რომ მაქსიმალურად შეერწყას მის გარემომცველ ბუნებას და მიუხედავად იმისა, რომ ნებადართულია 2 მეტრამდე სიმაღლის გალავნების გაკეთება, ეს გალავნები, ნებისმიერ შემთხვევაში, დაფარული იქნება მცენარეებით, სულ ცოტა, სავალ გზაზე გამომავალ წინა ნაწილში მაინც.

ნაკვეთების კოდების განმარტების ფურცელი

თითოეული ნაკვეთის კოდი შედგება ოთხი გრაფისაგან და პროექტის გენერალურ გეგმაში ყველა მათგანს გააჩნია თავისი მნიშვნელობა. მაგალითად:

I	II	III	IV
PU	SA	P1	01



მიწის ნაკვეთის ტიპი	გენგეგმაში არსებული სექტორი	სექტორში არსებული პოლიგონი	ნაკვეთის № სექტორში ნაკვეთის ტიპის მიხედვით
არსებობს სხვადასხვა ტიპის მიწის ნაკვეთები მათი ზომებისა და დანიშნულების მიხედვით	გენგეგმა დაყოფილია სექტორების მიხედვით და ამ გრაფაში მითითებულია თუ სად მდებარეობს კონკრეტული მიწის ნაკვეთი.	ყველა სექტორში არსებობს რამდენიმე პოლიგონი, რაც წარმოადგენს ქუჩებით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთების ფართობს.	



თბილისი, 2016 წლის
სექტემბერი

გრუპო პასტორ ინჟინაერინგ

პედრო ლუის პასტორ პეგერო

KR სექტორი/KR Sector		
	საკადასტრო კოდი	ფართობი
1	01.18.06.013.017	59985
2	01.18.06.013.013	121905
EM სექტორი/EM Sector		
3	01.18.06.014.037	1700
4	01.18.06.014.039	6000
5	01.18.06.014.040	650
6	01.18.06.014.060	87
7	01.18.06.014.063	1958
8	01.18.06.014.066	2600
9	01.18.06.014.077	124402
10	01.18.06.014.078	598
11	01.18.06.014.079	238
12	01.18.06.014.082	2855
13	01.18.06.014.086	1339
14	01.18.06.014.087	1120
15	01.18.06.014.088	12257
16	01.18.06.014.089	1650
17	01.18.06.014.091	7126
18	01.18.06.014.092	2327
19	01.18.06.014.093	745
20	01.18.06.014.094	322
21	01.18.06.014.095	2931
22	01.18.06.014.096	11370
23	01.18.06.014.097	5125
24	01.18.06.014.098	19886
	საერთო ფართობი/Total area	**389176**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 258

"17" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის №27 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 8 ივლისის №04/12705 წერილის (AR1313548) თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1313548 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალფუნქციური კომპლექსი (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, საოფისე, კომერციული, სასტუმრო)

განმცხადებელი: ფალკ სიდჰართა შპიორი

ობიექტის მისამართი/ ადგილმდებარეობა: ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი N14/45), (ნაკვეთი N 14/40, ნაკვეთი N14/39, ნაკვეთი N14/037, ნაკვეთი N13/13, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72), სოფელი შინდისი;

საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო არეალში შემავალი მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები: NN 01.18.06.014.087 (1120 კვ.მ.), 01.18.06.014.086 (1339 კვ.მ.), 01.18.06.014.066 (2600 კვ.მ.), 01.18.06.014.040 (650 კვ.მ.), 01.18.06.014.039 (6000 კვ.მ.), 01.18.06.014.037 (1700 კვ.მ.), 01.18.16.013.013 (121905 კვ.მ.), 01.18.06.013.017 (59985 კვ.მ.), 01.18.06.014.097 (5125 კვ.მ.), 01.18.06.014.096 (11370 კვ.მ.), 01.18.06.014.093 (745 კვ.მ.), 01.18.06.014.092 (2327 კვ.მ.), 01.18.06.014.088 (12257 კვ.მ.), 01.18.06.014.082 (2855 კვ.მ.), 01.18.06.014.078 (598 კვ.მ.), 01.18.06.014.077 (124402 კვ.მ.), 01.18.06.014.091 (7126 კვ.მ.);

გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო არეალში შემავალი საკადასტრო ერთეულების ფართობი: 362104 კვ.მ;

შენიშვნა: 1: გრგ-ს საპროექტო არეალის დაზუსტებული ფართობი წარმოდგენილ იქნეს პროექტის შეთანხმების სტადიაზე;

2: გათვალისწინებული იქნეს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს" 2015 წლის 25 ივნისის #27 სხდომის რეკომენდაციების გათვალისწინებით საპროექტო ტერიტორიის საერთო განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს კ2=2,1-ით;

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ტერიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები მდგომარეობს შემდგომში:

- ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით, დამტკიცებული ,,დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა"-ის მიხედვით ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩა (ნაკვეთი N14/45), (ნაკვეთი N 14/40, ნაკვეთი N14/39, ნაკვეთი N14/037, ნაკვეთი N13/13, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72, ნაკვეთი N14/72), სოფელი შინდისში არსებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5)-ში, საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)–ში, სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ში და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში;

- საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ”ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების” შესაბამისად.

- წარმოდგენილი ესკიზის შესაბამისად საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია დაპროექტდეს შემდეგი ფართები:

<u>საცხოვრებელი სექტორის ფართობი: 490 004 კვ.მ.</u>

მათ შორის: დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სექტორის ფართობი: **17 362 კვ.მ;**

მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი სექტორის ფართობი: **105 505 კვ.მ;**

საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი სექტორის ფართობი: **367 137 კვ.მ;**

<u>სარეკრეაციო სექტორის ფართობი: 56 335 კვ.მ;</u>

<u>სატრანსპორტო სექტორის ფართობი: 70 342 კვ.მ;</u>

<u>კომერციული, საზოგადოებრივ-საქმიანი სექტორის ფართობი: 315 601 კვ.მ;</u>

- ზემოაღნიშნული ფართები, განაშენიანების ფუნქციური ზონები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები შესაძლებელია დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

<u>გრგ–ს გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველია:</u>

– განცხადება AR1313548 (27.05.2015 წ.);

– ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომის ოქმი #27 (25.06.2015წ.);

<u>შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან განხორციელდეს</u>:

- მრავალფუნქციური კომპლექსი დაპროექტდეს გრგ-ს საპროექტო არეალის შესაბამის საზღვრებში;

- წარმოდგენილ იქნეს, გამიჯვნის სქემები, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები საფუძველი იქნება შემდგომი ობიექტების ინდივიდუალური მშენებლობისთვის.

- ცალკეული შენობა-ნაგებობებისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, თითოეული მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიისა და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა, მრავალფუნქციური კომპლექსის შესაბამისი დატვირთვების ანგარიშის შესაბამისად;

– სარეკრეაციო სივრცეები დაიგეგმოს საცხოვრებელი ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი მოცულობებით

- გათვალისწინებული იქნეს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისთვის და მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო სარეკრეაციო სივრცეები და საზოგადოებრივი

დანიშნულების ობიექტები (სკვერი, ბავშვთა სათამაშო მოედანი, სპორტული მოედანი, საბავშვო ბაღი, სკოლა და სხვა);

<u>მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა განხორციელდეს:</u>

- მოხდეს საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების ან მათი ნაწილის დაშლა და ტერიტორიიდან გატანა; სადემონტაჟო ნაგებობების კლასიდან გამომდინარე დამუშავდეს დემონტაჟის პროექტი/ები ან დემონტაჟის ეტაპები აისახოს მშენებლობის ორგანიზების პროექტში/ებში;

<u>– მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს</u>:

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

- ტოპო გეგმა (მ. 1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, საინჟინრო კომუნიკაციების, ხე–ნარგავების და სხვა დატანით (პირობითი აღნიშვნების მითითებით);

- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო ტერიტორიების შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა.

- გრგ-ს პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრის/ეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ტერიტორია შემოისაზღვროს ღობით და მოეწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა–ნაგებობა;

- განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისთვის მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;

– დემონტაჟის შემთხვევაში იპოთეკის არსებობის შემთხვევაში, წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა;

<u>ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:</u>

- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის და დენდროლოგიის სქემები;

- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში. საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

- გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად;

- საზოგადოებრივი ობიექტებისთვის მოეწყოს პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;

<u>ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა განისაზღვროს:</u>

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით.

- გრგ-ს პროექტის შესაბამისად განისაზღვროს ტერიტორიები საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომების მოსაწყობად.

– მრავალფუნქციური კომპლექსის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს მიწის ნაკვეთის საზღვრებში. მათი რაოდენობა, როგორც საცხოვრებელი ისე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისთვის განისაზღვროს ცალკეული ერთეულების რაოდენობის შესაბამისად.

- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

- კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

<u>ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;</u>

<u>ტერიტორიის არსებული ზონის სახეობა:</u> -საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5), საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2);

-საცხოვრებელ ზონა 5 (სზ-5)-ის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – **0,5;**
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) **-2,1;**
მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) – **0,1;**

-საცხოვრებელ ზონა 2 (სზ-2)-ის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – **0,5;**
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) **-0,8;**
მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) – **0,25;**

-სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-1) – **0,2;**
მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) -
მიწის ნაკვეთების გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) –

<u>- საპროექტო განაშენიანების ფუნქციური ზონები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;</u>

<u>განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი სახეობა</u> - საცხოვრებელი, საზოგადოებრივი;

ა)განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

ბ)განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

– განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.

<u>განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. ტერიტორიის გრგ-ს გეგმარებითი დავალება ან რეკვიზიტი;
2. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმები;
3. ზოგადი გეოლოგია;
4. ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ. 1:500;
5. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან მ 1:1000;
6. გრგ-ს ტექსტური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
7. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ. 1:500;
8. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში);
9. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან მ 1:1000;
10. ფუნქციური ზონირების რუკა;
11. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა);

12. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა მ 1:500 ან მ 1:1000;
13. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, მ 1:000, მ 1:200 ან მ 1:500;
14. მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასატარებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი და გეგმა მ 1:1000 ან მ 1:500 (საჭიროების შემთხვევაში);
15. გრგ-ს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება;
16. საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ1:500 ან მ1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
17. ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში);
18. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში);

შენიშვნები:

1. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში 5 და 15 პუნქტებში მითითებული მასალები AutoCAD ან ArchiCAD ფორმატში იქნეს ატვირთული tas.ge გრგ–ს შეთანხმების ველში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.
2. გრგ-ს წარმოსადგენ საპროექტო დოკუმენტაციას, მისი განხილვის მიზნით, აუცილებელია ახლდეს დოკუმენტაციის შინაარსის ამსახველი ელექტრონული ვერსია Power Point-ის ფორმატში.
3. გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:
    - საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
    - მიწის ნაკვეთის საზღვრები;
    - განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);
    - შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები _ H;
    - მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
    - განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
    - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
    - გამწვანების კოეფიციენტი კ3;
    - ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;
    - მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები;

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

ქ. თბილისში, კრწანისის ქვემო სამთავრობო რეზიდენციის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისთვის საინჟინრო გეოლოგიური შეფასება

თბილისი 2016 TBILISI

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპრობლემო ინსტიტუტი

დაკვეთა №96/2016

ქ. თბილისში, კრწანისის ჭოფილი სამთავროგო რეზიდენციის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისთვის საინჭინრო გეოლოგიური შეფასება

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

საინჭინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილების უფროსი ს. სირაძე

თბილისი 2016 წ.

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
(საქართველოს ქალაქმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპრობლემო ინსტიტუტი)
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave / 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

ს ა რ ჩ ე ვ ი

№№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	2 – 6
	II გრაფიკული მასალა	
3	ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:2500 მასშტაბში	ფ. №1

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის შესადგენად

ობიექტის დასახელება – ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმა.
დამკვეთი – შპს „ბაზელი“.
ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორია.
დაპროექტების სტადია – წინასაპროექტო დოკუმენტაცია.

თქვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების და ვიზუალური რეკოგნოსცირების მონაცემების საფუძველზე, შეგვიდგინეთ ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა განაშენიანების რეგულირების გეგმისთვის.

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა წარმოდგენილი იქნეს აკინძული 2 ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიაში.

დანართი: ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:2500 მასშტაბში

დავალება გასცა ფალკ სიდჰარტა სპორი

ქ. თბილისში, კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისთვის საინჟინრო გეოლოგიური შეფასება

შპს „ბაზელი“-ს დაკვეთით (დაკვეთა№96/2016), შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი”-ს საინჟინრო გეოლოგიური კვლევების განყოფილებამ, 2016 წლის აპრილში, ქ. თბილისში, კრწანისის ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის დასავლეთით მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების გეგმის შედგენისთვის, ვიზუალური რეკოგნოსცირების და არსებული საარქივო მასალების საფუძველზე, შეასრულა მოცემული ტერიტორიების საინჟინო გეოლოგიური შეფასება, შენობა-ნაგებობების დაფუძნების პირობების დასაბუთების მიზნით.

გამოყოფილი ტერიტორიები მდებარეობს კრწანისის რაიონში და მოიცავს ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის დასავლეთ ნაწილს და მის მიმდებარე გაგრძელებას. მთლიანად გამოყოფილი ტერიტორია მოიცავს 38,2 ჰა-ს.

მოცემული ტერიტორიების მახლობლად, აღნიშნული განყოფილების მიერ, სხვადასხვა ობიექტებზე ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია განყოფილების არქივში და გამოყენებულია დასკვნის შედგენისას.

დასკვნის შედგენისას გათვალისწინებულია ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების: სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისთვის) პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), პნ 01.01-09 („სეისმომედეგი მშენებლობა) პნ 01.05-08 („სამშენებლო კლიმატოლოგია“) და სტანდარტი (25100-85 გრუნტები) მოთხოვნები.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია დამკვეთის მიერ გადმოცემული ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:2500 მასშტაბში.

გეომორფოლოგიურად ტერიტორია, მთლიანობაში, წარმოადგენს თელეთის ქედის მთისწინა დაბლობს აღმოსავლეთისკენ საერთო დახრის (დამრეცად) მქონე რელიეფით. ლოკალურ უბნებს გააჩნიათ სხვადასხვა მიმართულებით დახრა.

ტერიტორია დაფარულია სხვადასხვა სახის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებით, დასავლეთ ნაწილში უბნები თავისუფალია და ზოგან დაფარულია ბუჩქნარით.

ტექტონიკური თვალსაზრისით ქ. თბილისი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთის დაძირვის ზონაში. ტერიტორია განთავსებულია კრწანისის სინკლინში.

პნ. 01.05-08-ის („სამშენებლო კლიმატოლოგია") მიხედვით, რაიონის კლიმატური მონაცემები მახლობელი თბილისის ბოტანიკური ბაღის მეტეოსადგურის მონაცემების მიხედვით შემდეგია:

– წლის საშუალო ტემპერატურა +12,8 °C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი –22°C;

– ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი +40°C;

– ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 616 მმ;

– ნალექების დღეღამური მაქსიმუმი – 145 მმ;

– ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 15–20 წელიწადში ერთხელ – 24 მ/წმ;

– ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილო-დასავლეთის;

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ Wo=0,30 კპა, 15 წელიწადში ერთხელ – Wo=0,33 კპა;

– თოვლის საფარის წონა – 0,50 კპა;

– თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 14;

– გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 0 სმ.

ვიზუალური რეკოგნოსცირების და საარქივო მასალების მონაცემების თანახმად, ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები და მათი მფარავი დელუვიური (dQ_{IV}) გენეზისის თიხოვანი გრუნტები (თიხა-თიხნარები).

ძირითადი ქანები წარმოდგენილია გამოფიტული არგილითებით, რომელშიც ალაგ-ალაგ გავრცელებულია თიხიანი ქვიშაქვების თხელი შუაშრეები (ფენა 4) და ქვიშაქვებით (ფენა 5). ძირითადი ქანები ხასიათდება არაღრმა განლაგებით (0,5–3,5 მ მიწის ზედაპირიდან).

ძირითადი ქანები დაფარულია თიხოვანი გრუნტებით – ძირითადად მაყრი კონსისტენციის, სუსტად თაბაშირიანი, ღია ყავისფერი თიხნარებით (ფენა 3) და მყარიდან – ძნელპლასტიკურამდე კონსისტენციის, სუსტად თაბაშირიანი ყავისფერი თიხებით (ფენა 2). თიხებში და თიხნარებში გავრცელებულია წვრილი ღორღის და ხვინჭის ჩანართები 10-დან 15%-მდე.

თიხნარები უპირატესად გავრცელებულია ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში, ხოლო თიხები – აღმოსავლეთ ნაწილში.

დელუვიურ საფარ გრუნტებს ყველგან თავზე ადევს 0,2–0,3 მ სიმძლავრის ნიადაგის ფენა (ფენა 1).

ტერიტორიაზე გავრცელებული აღწერილი გრუნტები, სამშენებლო თვისებების მიხედვით (ნიადაგის ფენის მხედველობაში მიუღებლად) შეიძლება დაიყოს 4 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტად **(სბე)**:

I სბე – თიხა (ფენა 2);

II სბე – თიხნარი (ფენა 3);

III სბე – არგილითი (ფენა 4);

IV სბე – ქვიშაქვები (ფენა 5).

ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევების დროს გრუნტის წყალი არ არის გამოვლენილი.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, ტერიტორიაზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება.
   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება II კატეგორიას (საშუალო სირთულის).

2. ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის ძირითადი ქანებით – არგილითებით და ქვიშაქვებით, რომელიც დაფარულია მეოთხეული თიხოვანი გრუნტებით (თიხა-თიხნარები).

3. აღწერილ გრუნტებში სამშენებლო თვისებების მიხედვით, ნიადაგის ფენის (ფენა 1) ჩაუთვლელად გამოიყოფა 4 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სბე):

I სბე – თიხა (ფენა 2);

II სბე – თიხნარი (ფენა 3);

III სბე – არგილითი (ფენა 4);

IV სბე – ქვიშაქვები (ფენა 5).

4. ქვემოთ, ცხრილში მოცემულია აღწერილი გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საორიენტაციო მნიშვნელობები, მიღებული საარქივო მასალების, ვიზუალური რეკოგნოსცირების, ნორმატიული დოკუმენტების და საცნობარო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე.

№№	გრუნტების მახასიათებლები	საანგარიშო მნიშვნელობები			
